GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2019 / 11 – 17 Mayıs / მაისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 723.5	4 345.5	4.7 %	12.7 %	4.1 %

Gürcistan Başbakanı ve Ekonomi Bakanı'nın Kazakistan ziyareti
საქართველოს პრემიერ მინისტრი და ეკონომიკის მინისტრი ყაზახეთს ესტუმრნენ

Gürcistan Başbakanı Sn. Mamuka Bakhtadze ve Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Natia Turnava Hükümet heyeti ile birlikte Kazakistan'a yapılan iş ziyareti esnasında Kazakistan Cumhuriyeti Senato Başkanı, Sn. Dariga Nazarbayev ile görüştüler.

Toplantıda iki ülke arasındaki dost ve ticari ilişkiler ve yatırım alanındaki başarılı işbirliği ele alınmıştır. Görüşme çerçevesinde iki ülke arasında ticari ilişkilerin derinleştirilmesini amaçlayan "Yol Haritası" isimli anlaşma imzalanmıştır. Ekonomi Bakan'ı Sn. Natia Turnava yaptığı açıklamada bu anlaşmanın önümüzdeki iki yıl içerisinde mevcut ticaret hacminin iki kat artıracağını hedeflemekte olduğunu belirtti. Toplantıda ayrıca turizm ve doğrudan hava trafiği sektöründeki olası gelişmelerden bahsedilmiştir.

Ayrıca Gürcistan Başbakanı ve Ekonomi Bakanı Kazakistan'ın Başkenti Nur-Sultan'da gerçekleştirilen ekonomi forumuna katıldılar. Forumda yaptığı konuşma sırasında Sn. Mamuka Bakhtadze Gürcistan'ın çok profilli – İş yapma, Yatırım, Finansmana erişim, İnovasyon, Turizm, Ticaret ve Lojistik merkez haline gelme isteğinin olduğunu açıkladı.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე და საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა სამთავრობო დელეგაციასთან ერთად სამუშაო ვიზიტით ყაზახეთს ეწვივნენ, სადაც შეხვედრა ყაზახეთის რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარე, დარიგა ნაზარბაევთან გამართეს.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული და სავაჭრო ურთიერთობები და წარმატებული თანამშრომლობა ინვესტიციების სფეროში. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა "საგზაო რუკის" სახელწოდების მქონე შეთანხმებას, რომელიც სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას ისახავს მიზნად. ეკონომიკის მინისტრის, ნათია თურნავას განცხადებით აღნიშნული ხელშეკრულება მომავალი ორი წლის განმავლობაში არსებული სავაჭრო ბრუნვის გაორმაგებას ისახავს მიზნად. გარდა აღნიშნულისა, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ტურიზმისა და პირდაპირი ავია მიმოსვლის სფეროში განვითარების პერსპექტივებს.

ოფიციალური შეხვედრის გარდა, საქართველოს პრემიერ მინისტრმა და ეკონომიკის მინისტრმა მონაწილეობა მიიღეს ყაზახეთის დედაქალაქ ნურ-სულთანში გამართულ ეკონომიკურ ფორუმში. სიტყვით გამოსვლისას პრემიერმა მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს აქვს მრავალ პროფილურ ცენტრად ქცევის ამბიცია და სურვილი, რომ გახდეს ბიზნესის კეთების, კაპიტალდაბანდებების, ფინანსებზე წვდომის, ინოვაციების, ტურიზმის, ვაჭრობისა და ლოგისტიკის ცენტრი.

2019 წლის პირველ კვარტალში ტურისტების ვიზიტების განაწილება რეგიონების მიხედვით

2019 Yılın İlk çeyreğinde Gürcistan'da Turist Ziyaretlerin Bölgelere Göre Dağılımı



2019 yılı ilk çeyreğinde Gürcistan'a gelen turistlerin yaptığı harcamalar 1.2 milyar ₾ olmuştur ve bu rakam bir önceki yıla göre %15.2 daha azdır. Gürcistan Milli İstatistik Ajansından yapılan açıklamaya göre kişi başına yapılan ortalama harcamalar 889.7 ₾ olmuş ve bu rakamda bir önceki seneye göre %16.1 azalma görülmektedir. Verilere göre turistler en fazla yemeye ve içeceğe para harcamakta. Bu bağlamda ziyaret başına ortalama maliyeti 232.9 GEL'dir. Harcama açısından, ikinci sırada konaklama yer almaktadır ve kişi başı ortalama maliyeti 165.2 Gel'dir. Üçüncü sırada ise eğlence gelmektedir.

2019 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული ვიზიტების შედეგად ტურისტების მიერ გაწეული ხარჯები 1.2 მლდ ლარს გაუტოლდა, რაც 15.2%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საქსტატის მონაცემებით 16.1%-ით შემცირდა ვიზიტზე გაწეული საშუალო ხარჯი და მან 889.7 ლარი შეადგინა. ტურისტები ყველაზე მეტ ფულს კი საკვებსა და სასმელზე ხარჯავენ. საშუალო ხარჯმა ვიზიტზე 232.9 ლარი შეადგინა. ხარჯის გაწევის მხრივ კი მეორე ადგილს განთავსება იკავებს, სადაც ვიზიტზე საშუალოდ გაწეულმა ხარჯმა 165.2 ლარი შეადგინა. მესამე ადგილზე კი გართობაა.

Ocak – Nisan Döneminde Gürcistan'ın Dış Ticareti
საქართველოს საგარეო ვაჭრობა იანვარი - აპრილი

2019 yılın Ocak – Nisan döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 3 860,1 milyon ABD dolarına ulaşmıştır. Bu rakam bir önceki yılın verilerinden %2.3 fazladır. İhracat 1 133,4 milyon ABD dolar (büyüme oranı %17.9), ithalat ise 2 726.7 milyon ABD dolar (büyüme oranı %3.1) olmuştur. 2019 yılın Ocak-Nisan döneminde negatif ticaret dengesi 1 593.3 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun %41.3 teşkil etmiştir.

2019 წლის იანვარ-აპრილში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 3 860.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 2.3%-ით მეტია. აქედან, ექსპორტი 1 133.4 მლნ. აშშ დოლარი იყო (17.9%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 2 726.7 მლნ. აშშ დოლარი (3.1%-ით ნაკლები). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2019 წლის იანვარ-აპრილში 1 593.3 მლნ. აშშ დოლარი, საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.3% შეადგინა.



Air Malta, Gürcistan Pazarında Faaliyete Geçecektir
საქართველოს ბაზარზე ოპერირებას ეარ მალტა იწყებს

Air Malta 4 Temmuz itibaren Gürcistan pazarındaki faaliyetine başlayacaktır. Şöyle ki Tiflis-Malta-Tiflis seferi ile direkt uçuşlar düzenli olarak her perşembe günü gerçekleştirilecektir. Konu ile ilgili 16 Mayıs 2019 tarihinde Holiday Inn otelinde Gürcistan Havaalanları Birliği Başkanı Sn. Giorgi Çogovadze, Ulusal Turizm Departman Başkanı Sn. Mariam Kvrivişvili ve TAV Georgia Genel Müdür Mete Erkal katılımı ile basın toplantısı gerçekleştirilmiştir. İki ülke arasında başlayacak direkt uçuşlar turizm potansiyelini geliştirecektir.

კომპანია ეარ მალტა საქართველოს ბაზარზე ოპერირებას 4 ივლისიდან იწყებს. რეგულარული რეისები თბილისი-მალტა-თბილისის მიმართულებით ყოველ ხუთშაბათს განხორციელდება. აღნიშნულთან დაკავშირებით 16 მაისს სასტუმრო Holiday Inn-ში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორი გიორგი ჩოგოვაძე, ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი და ტავ ჯორჯიას გენერალური მენეჯერი მეთე ერქალი დაესწრნენ. პირდაპირი რეისები ორ ქვეყანას შორის ტურისტული პოტენციალის განვითარებას შეუწყობს ხელს.

Gürcistan'da Petrol Fiyatları Yükseldi
საქართველოში საწვავი გაძვირდა

Gürcistan'da son bir ay içerisinde petrol fiyatları 10-15 Tetri kadar artmıştır. Markalı petrol istasyonlarındaki maksimum fiyatlar aşağıdaki gibidir: Euro Normal – 2.44 ₾, Premium – 2.54 ₾, V/Max – 2.64 ₾, Dizel – 2.64 ₾.

Petrol Ürünleri İthalatçılar Birliği Başkanı Sn. Vano Mtvarelaşvili, yakıt fiyatların yükseltmesini çeşitli faktörlerle bağlıyor. Sn. Mtvarelaşvili'nin açıklamasına göre Gürcistan'da yakıt fiyatlarının yükseltmesi S&P Global Platts fiyatlarındaki değişikliğin yanı sıra ulusal para biriminin değer kaybetmesinden de kaynaklanmakta olduğunu belirtti. Mtvarelaşvili'nin açıklamasına göre benzin fiyatı %38.4 oranı ile yükseltmiştir ve ton başına 655.0 dolar olmuştur. Dizel fiyatı ise %25.4 oranı ile artmıştır ve ton başına 634.75 dolar olmuştur. Yılın başında, Lari'nin resmi döviz kuru 2.6727 iken şimdi 2.7426 GEL'dir.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველოში საწვავი 10-15 თეთრით გაძვირდა. ბრენდირებულ ბენზინ გასამართ სადგურებზე დღეს მოქმედი მაქსიმალური ფასები ასე გამოიყურება: 1 ლიტრი ევრო-რეგულარი - 2.44 ლარი, პრემიუმი - 2.54 ლარი, სუპერი - 2.64 ლარი, დიზელი - 2.64 ლარი. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი ვანო მთვარელაშვილი, საწვავის გაძვირებას რამდენიმე ფაქტორს უკავშირებს. მისი განმარტებით საწვავზე ფასის ზრდა განპირობებულია S&P Global Platts-ის ფასთა ცვლილების მიხედვით და ასევე ეროვნული ვალუტის გაუფასურებით. მთვარელაშვილი აღნიშნავს, რომ ბენზინის ფასი 655.0 დოლარამდე/ტონაზე 38.4%-ით არის გაძვირებული, ხოლო დიზელის შემთხვევაში 634.75 დოლარამდე/ტონაზე 25.4%-ით. წლის დასაწყისში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, დოლართან მიმართებით, 2,6727 ლარს შეადგენდა, ახლა კი 2,7426 ლარს შეადგენს.

2020 Yılından İtibaren Tiflis Metrosu'nda Yeni Trenler kullanıma Girecektir
თბილისის მეტროში 2020 წლიდან ახალი მატარებლები ივლის

Tiflis Belediye Başkanı Sn. Kakha Kaladze Belediye Toplantısında önümüzdeki üç yıl içerisinde Tiflis Metrosu için 40 tane tamamen yeni, modern, Avrupa tipi vagonların Belediye tarafından alınacağını söyledi. Günümüzde 1975 yılında üretilmiş yaklaşık olarak 52 vagon çalışmakta. Vagonların işlem süresi birkaç yıl içerisinde dolacak ve artık modernize edilmeyecektir. Belediye, yukarıda belirtilen konu ile ilgili teknik teklif hazırlayacak uluslararası deneyimine sahip olan Avusturyalı bir şirketle sözleşme imzalayacaktır.

Belediye başkanı ayrıca Samgori-Lilo ve Samgori Rustavi yerüstü metro projelerinden de bahsetmiş ve Tiflis Ulaştırma Hizmeti tarafından yayınlanan metro hatların projelendirme ihale sonuçlarını açıklamıştır. İhalede Avusturyalı şirket ILF Consulting Engineers kazanmıştır. Şirketin her iki proje için gerçekleştirmesi gereken çalışmalar şunlardır: Saha araştırması, Proje hazırlaması ve İnşaat ihalesi için dokümantasyon hazırlaması. ILF Consulting Engineers şirketine sunulacağı hizmetler için 12 762 530 ₾ transfer edilecek ve çalışmaları tamamlaması için 15 aylık süre verilecektir.

თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ მერია მომდევნო სამი წლის განმავლობაში, 40 სრულიად ახალ, თანამედროვე, ევროპული ტიპის ვაგონებს შეისყიდის. „მეტროპოლიტენში“ დღეს 1975 წელს წარმოებული, დაახლოებით, 52 ვაგონი მოძრაობს. ვაგონებს ექსპლუატაციის ვადა რამდენიმე წელიწადში გაუვა და მოდერნიზებას აღარ დაექვემდებარება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერია ხელშეკრულებას აფორმებს საერთაშორისო გამოცდილების მქონე ავსტრიულ კომპანიასთან, რომელიც ვაგონების შესყიდვის ტექნიკურ წინადადებას მოამზადებს.

აღნიშნულის გარდა მერმა ასევე ისაუბრა სამგორი - ლილოს და სამგორი რუსთავის მიწისზედა მეტროს პროექტებზე. აღნიშნული მეტროს ხაზების პროექტირებაზე თბილისის სატრანსპორტო სამსახურის მიერ გამოცხადებული ტენდერის გამარჯვებული ცნობილია. კონკურსში ავსტრიულმა კომპანია ILF Consulting Engineers-მა გაიმარჯვა. კომპანიამ ორივე პროექტისთვის უნდა განახორციელოს კვლევა, მოამზადოს პროექტი და დოკუმენტაცია სამშენებლო ტენდერისთვის. საკონკურსო პროექტის ბიუჯეტი 12 762 530 ლარია და ავსტრიულმა კომპანიამ სამუშაოები 15 თვეში უნდა დაასრულოს.

Mayıs Ayı Sonunda Çavçavadze Caddesi Kısmen Kapatılacaktır
მაისის თვის ბოლოს ჭავჭავაძის გამზირის ნაწილი გადაიკეტება

15 Mayıs 2019 tarihinde yapılan Belediye toplantısında Tiflis Belediye Başkanı Sn. Kakha Kaladze planlanan yenileme çalışmaları nedeniyle Mayıs ayının sonunda Çavçavadze caddesi kapatılacağını açıkladı. Belediye Başkanı yolun çok büyük zarar gördüğünü, toprağın devamlı bir şekilde yıkanmakta olduğunu ve çok tehlikeli durum oluşturduğunu söyledi. Çalışmaların sırasında trafiği felç etmemek ve yolun tamamen kapatmamak için bu bölge kısmen kapatılacaktır. Çalışmaların ilk aşaması Varazisxevi'den (Çavçavadze sok. N1) PİXEL binaya kadar (Çavçavade sok. N 34) uygulanacaktır.

თბილისის მერმა, კახა კალაძემ, 15 მაისს ჩატარებულ დედაქალაქის მმართველობის სხდომაზე განაცხადა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, მიმდინარე თვის ბოლოს ჭავჭავაძის გამზირის ნაწილი გადაიკეტება. მერის განცხადებით ტერიტორია ძალიან დაზიანებულია და მუდმივად ხდება მიწის გამორეცხვა. მერმა ასევე აღნიშნა, რომ არ მოხდეს საავტომობილო მოძრაობის პარალიზება, ტერიტორია დაიყოფა სექციებად და გამზირი სრულად არ გადაიკეტება. პირველი ეტაპისთვის სამუშაოები განხორციელდება ვარაზისხევის ამოსასვლელიდან პიქსელის შენობამდე ტერიტორიაზე.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (17.05.2019)

USD/GEL – 2.7426 TRY/GEL – 0.4567 EUR/GEL – 3.0739 GBP/GEL – 3.5177

USD/GEL

11 - 17 Mayıs 2019

TRY/USD

11 - 17 Mayıs 2019

TRY/GEL

11 - 17 Mayıs 2019

Uluslararası Reyting საერთაშორისო რეიტინგი	
İş Yapma Kolaylığı ბიზნესის კეთების სიმარტივე	№ 6
Ekonomik Özgürlük Endeksi ეკონომიკური თავისუფლების ინდ.	№ 16
Rekabet Edebilirlik Endeksi კონკურენტუნარიანობის ინდექსი	№ 66